პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 61 (6126) 28 1978 წ. მარტი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

# სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ

## დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ინტერესით ეცნობა ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც წარმოგვიდგება როგორც ეროვნული და ინტერნაციონალური თვისებების შერწყმის შესანიშნავი ნიმუში. მასში ნათლად არის ასახული რესპუბლიკის წინსვლისა და აღმშენებლობის გზები, მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი და პოლიტიკური თავისუფლება, აგრეთვე, ის დიდი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ძვრები, რომელიც ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდგომ პერიოდში მოხდა.

ჩვენ, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკებს, განსაკუთრებით გვახარებს და გვეამაყება, რომ საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების საკითხებს.

ყოველივე ეს უფლებასთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. საქართველოს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ნათლად აქვთ შეგნებული დღევანდელი დღის მნიშვნელობა და სიდიადე. წინაა მეტად საპასუხისმგებლო სპორტული ღონისძიებები: მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა, საბჭოთა კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა და, რაც მთავარია, მოსკოვის ოლიმპიური თამაშები.

ჩვენი ამოცანაა, მთელი პასუხისმგებლობით ვემზადოთ ამ დიდი სპორტული ფორუმებისთვის, ვამრავლოთ ქართული სპორტის სახელოვანი ტრადიციები.

**გ. ჯანელიძე,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების უფროსი.**

## წინსვლის საწინდარი

**საქართველოს** სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისთვის ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა. ის საყოველთაო გამოხმაურება, რომლებიც გაზეთებში იბეჭდება, ნათლად მოწმობს თუ როგორი გულისყურით მოეკიდნენ მშრომელები თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების კიდევ უფრო ამაღლებას, რაც ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის გაუმჯობესების საწინდარია.

ამ საყოველთაო-სახალხო განხილვაში რესპუბლიკის თვითეული მოქალაქის გვერდით დგანან ფიზკულტურისა და სპორტის მრავალრიცხოვანი არმიის წარმომადგენლები. მათ შესანიშნავად აქვთ შეგნებული, რომ მშრომელთა ფიზიკური წრთობა მათი შრომისნაყოფიერების ამაღლების უტყუარი საშუალებაა. სპორტი კი სიხარულისა და სიჯანსაღის დაუშრეტელი წყაროა.

ამას წინათ თბილისში დამთავრებულმა მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობს. კრივის სახელოვანი ტრადიციების აღორძინება ჩვენს რესპუბლიკაში საიმედო ხელთაა და ქართველი მოკრივეები სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებთან ერთად, ძალ-ღონეს არ დაზოგავენ რესპუბლიკის სპორტული დიდების ამაღლებისთვის.

ახალი კონსტიტუციის პროექტი აღგვაფრთოვანებს მომავალი წარმატებებისთვის, ვინაიდან იგი წინსვლის საიმედო საწინდარია.

**ზ. კვინიხიძე,**
**საქართველოს სსრ კრივის ფედერაციის თავმჯდომარე.**

## ჭადრაკი

### გამარჯვება სევასტოპოლში

**სევასტოპოლში** დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდური პირველობის ზონალური შეჯიბრება, რომელშიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ.

შესანიშნავად წარმართეს დასკვნითი შეხვედრები ჩვენი ოლქის წარგზავნილებმა. მათ V და VI ტურებში ერთნაირი ანგარიშით (4,5:2,5) სძლიეს შეიარაღებულ ძალთა ცხრაგზის ჩემპიონს, ლენინგრადის სამხედრო ოლქისა და ბალტიის ფლოტის გუნდებს. დასკვნითს, VII ტურში ამიერკავკასიელებმა მოუგეს (6,5:0,5) შავი ზღვის ფლოტის მოჭადრაკეებს და I ადგილიც დაიკავეს — 39,5 ქულა 49-დან.

II ადგილზეა ბალტიის ფლოტის, ხოლო მესამეზე — ლენინგრადის სამხედრო ოლქის გუნდები. სამივე კოლექტივმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამიერკავკასიელთა მსგავსი შედეგი არავის მოუპოვებია 18 წლის მანძილზე. გუნდის წევრებმა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვეს. ოსტატმა ნ. გურიელმა, რომელიც გოგონათა დაფაზე გამოდიოდა, აბსოლუტური შედეგი აჩვენა: მან შვიდივე მეტოქე დაამარცხა; ვაჟთა დაფებზე I ადგილები დაიკავეს ე. გუფელდმა (6 ქულა 7-დან), ა. იზვოზჩიკოვმა და ს. ჩეჩელიანმა (5,5 ქულა — თითოეულს). ქალთა დაფაზე უძლიერესი იყო საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი), რომელმაც 7 შეხვედრაში 6 ქულა მოაგროვა. სხვათა შორის, მან სძლია ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების მონაწილეს, დიდოსტატ ი. ლევიტინას (ლენინგრადი).

შეჯიბრებაში ბევრი ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობდა. მაგალითად, დიდოსტატი ა. გიპსლისი (ბალტიის ფლოტი), საერთაშორისო ოსტატები მ. ცეიტლინი, ვ. კარასიოვი და სხვ. რა თქმა უნდა, შეჯიბრება უფრო საინტერესო იქნებოდა მასში რომ მსოფლიო ჩემპიონებს ნ. გაფრინდაშვილს (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი) და ა. კარპოვს (ლენინგრადის სამხედრო ოლქი) ეთამაშათ, მაგრამ ამ დროს ორივე ჩემპიონი იუგოსლავიაში საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა.

ზონალური ტურნირის მონაწილე სამხედრო საზღვაო ფლოტის გუნდებს თავიანთი ჩათვლა ჰქონდათ. სსრ კავშირის სამხედრო საზღვაო ფლოტის ჩემპიონის სახელი ბალტიის ფლოტის გუნდს ხვდა.

**ე. გუფელდი,**
**საერთაშორისო დიდოსტატი.**

## „პრავდა“ — კროსი



**კვირას** თბილისის იპოდრომზე გაიმართა საქართველოს პირველობა მძლეოსნურ კროსში გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე.

პირველ ჯგუფში ყველას აჯობა თბილისის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გუნდები. მეორე ჯგუფის კოლექტივების შეჯიბრება მოიგეს წალკელმა სპორტსმენებმა, II ადგილზეა ახალციხის გუნდი, III — ბოგდანოვკის მძლეოსნები.



**ს უ რ ა თ ზ ე:** 2000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები შეჯიბრების დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

• • •

(შეჯიბრების ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

## იუბილეს მიეძღვნა

**ცხაკაიაში** გაიმართა კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მშდ კომპლექსის ერთ-ერთ ნორმატივში — სწრაფლაშქრობაში.

წარმოება-დაწესებულებების კოლექტივების ასპარეზობა 6 კილომეტრზე I ჯგუფში ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ნაკრებმა მოიგო. II ჯგუფში უძლიერესი გახლდათ პროფტექსასწავლებლის წარმომადგენლები. III ჯგუფში იმარჯვეს საგზაო რესტორნების გაერთიანების სპორტსმენებმა.

კოლმეურნეობების გუნდებს შორის ფინიშთან პირველი მივიდა ცხოველმრეწვის ნაკრები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებს შორის — ტეხურის გუნდი.

პირად პირველობაში უძლიერესნი იყვნენ: ვაჟებში — თ. ბოჯგუა (ზ. ნის ელიაძის სახელობის კოლმეურნეობა), ქალებში — გ. ქაჯულია (ცხოველმრეწვე).

**ი. გუგუნავა.**
**(ჩვენი კორ.).**

## წყალბურთი

# არათანაბრად

**საქართველოს** წყალბურთელთა საუკეთესო გუნდმა — თბილისის „დინამომ“ კარგა ხანია საკავშირო პირველობებში მრისხანე კოლექტივის რეპუტაცია დაკარგა.

როგორი მომავალი თაობა ეზრდება ქართველ წყალბურთელთა უპირველეს გუნდს? ამ კითხვას უნდა უპასუხოს სსრ კავშირის 1960-62 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა პირველობამ, რომლის პირველი ტურიც თბილისში, ვაკის საცურაო აუზში მიმდინარეობს. ამას გარდა, ეს შეჯიბრება გენერალური რეპეტიციაა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წინ და, ამდენად, თვალნათლივ წარმოაჩენს მონაწილე გუნდების დადებით და ჩრდილოვან მხარეებს.

თბილისის ტურში მონაწილეობენ: კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (კწფ), მოსკოვის „ტრუდის“, ვოლგოგრადის „სპარტაკის“, ერევნის, კიევისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან: შ. ტუკვაძე, ძმები დ. და ხ. ივანიშვილები, დ. ოთარაშვილი, ბ. კირკიტაძე, ა. გიორგაძე, დ. გვახარია, ტ. კუტივაძე, გ. კენჭაძე, გ. ქათამაშვილი და დ. შავგულიძე.

ასპარეზობამ შაბათს აიღო სტარტი და ხვალ დამთავრდება. ამიტომ, უმჯობესია, ნაადრევი დასკვნებისგან თავი შევიკავოთ და ჯერჯერობით შეჯიბრების მხრალი აღწერით დავკმაყოფილდეთ:

შაბათს ერთმანეთს შეხვდნენ კწფ — „სპარტაკი“ (1:7), „დინამო“ კიევი — „ტრუდი“ (7:4), „დინამო“ თბილისი — „დინამო“ ერევანი (8:7).

თბილისელთა და ერევნელთა შეხვედრაში ასე თუ ისე თანაბარი ბრძოლა მეორე პერიოდის დასასრულამდე გაგრძელდა, რაც ანგარიშშიც გამოიხატა — 4:3. მესამე პერიოდში მასპინძლებმა აშკარად დაჯაბნეს სტუმრები და სხვაობამ სამ ბურთამდე (7:4) მიაღწია. მეოთხე პერიოდის დასაწყისშივე თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთით გაზარდეს ანგარიში და, ეტყობა, შეხვედრის ბედი გადაწყვეტილად ჩათვალეს. გუნდის შემადგენლობაშიც არასრულფასოვანი შეცვლა მოხდა. სტუმრებმა კარგად გამოიყენეს მასპინძელთა მოდუნება და ზედიზედ სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს.

8:7. ასე დამთავრდა ეს საოცრად არათანაბარი თამაში.

კვირას კიდევ სამი შეხვედრა გაიმართა: „სპარტაკი“ — „ტრუდი“ (13:1), კწფ — „დინამო“ ერევანი (9:5), „დინამო“ თბილისი — „დინამო“ კიევი (4:5).

თბილისელ და კიეველ თანაკლუბელთა შეხვედრა შეჯიბრების ორი დღის მანძილზე გამართულ ბრძოლებს შორის ყველაზე საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

პირველი პერიოდი უშედეგოდ დამთავრდა. მესამე პერიოდში სტუმრები სამი ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ზედიზედ ორი უპასუხო გოლი გაიტანეს და სხვაობა კვლავ მინიმუმამდე დაიყვანეს.

მეოთხე პერიოდი ორივე გუნდის ქომაგებისთვის სანერვიულო გამოდგა. მაშინ, როდესაც ანგარიში იყო 3:5, თბილისელთა ნატყორცნი ბურთი სამჯერ მოხვდა ძელს. კარგად ითამაშა კიეველთა მეკარემაც. ბოლოს თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთის გატანა მოახერხეს. შეხვედრის უკანასკნელ წამებზე მასპინძლები ფლობდნენ ბურთს. ფრე თითქოს ახლოს იყო, მაგრამ სტუმართა კარი ძელმა იხსნა.

შეხვედრის შემდეგ სსრ კავშირის წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბ. პოპოვმა სთქვა: „თქვენი ბიჭები სტანდარტულ სიტუაციებში აშკარად ჩამორჩებოდნენ კიეველებს. ამასთან, თბილისელებმა ვერ გამოიყენეს ის მომენტები, როდესაც რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ამ შეხვედრიდან თუკი ვინმეს გამოყოფა შეიძლება, ეს ალბათ კიეველთა მეკარე პერევიაზკო იყო.

**ა. გურასაშვილი.**

## ბავშვთა სპორტის განვითარებას — შეუნელებელი ყურადღება!



**როგორ ვემზადებით მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის?**



# დირექტორების გარეშე

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები წლევანდლამდე საზაფხულო არდადეგების პერიოდში ეწყობოდა. ეს მონაწილეებს ტვირთს უმსუბუქებდა — ისინი მხოლოდ შედეგებზე ფიქრობდნენ და წვრთნისთვისაც გაცილებით მეტი დრო ჰქონდათ.

წლეულს ასე როდი იქნება. მორიგი კომპლექსური ღონისძიება ტაშკენტში ახალი სასწავლო წლის დაწყების მერე გაიმართება და მასში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ მხოლოდ მოსწავლეები (კურსდამთავრებულები სტარტზე არ დაიშვებიან), მაშასადამე, სპარტაკიადის მონაწილეთა შემადგენლობა გაცილებით ახალგაზრდული იქნება.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში ადრიანად დაიწყო — საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სათანადო ღონისძიება დასახა, ხოლო მისი უმაღლესი სპორტული ოსტატობისა თუ სხვა სკოლები ამ ღონისძიებების განხორციელებას შეუდგნენ.

სამზადისი ეტაპობრივი ხასიათისაა: ჯერ საქალაქო და რაიონულ შეჯიბრებებში შემოწმდება მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებისა და სპორტული ტექნიკის სრულყოფის დონე, მერე სპარტაკიადები ჩატარდება. რესპუბლიკური ასპარეზობა საბოლოოდ შეარჩევს ტაშკენტში წასვლის კანდიდატებს.

ერთი ასეთი შეჯიბრება — თბილისის მოსწავლეთა საგაზაფხულო პირველობა მძლეოსნობაში „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა. ამ სახეობაში საკავშირო სპარტაკიადაზე მეორეთანრიგოსნები დაიშვებიან, ჩათვლაში შევა ყველა შედეგი, რომლებიც ქულებით ფასდება. თბილისის პირველობაშიც დაახლოებით ასე იყო, ოღონდ აქ სარბიელზე მესამეთანრიგოსნებიც გამოდიოდნენ, ეს გასაგებიცაა, ბავშვებს ნაადრევ სტარტში ბევრს ვერაფერს მოვთხოვთ.

შეჯიბრებაში დედაქალაქის შვიდი რაიონის ნაკრები გუნდები ჩაება. სარბიელზე ვერ ვიხილეთ მხოლოდ 26 კომისრის სახელობის რაიონის კოლექტივი, რადგან ამ რაიონის განათლების განყოფილების სპორტსკოლამ გუნდის დაკომპლექტებისთვის დროულად არ იზრუნა, თუმცა მერე რამდენიმე ათლეტს პირად შეჯიბრებაში მიაღებინა მონაწილეობა.

განსაკუთრებით ახლა, სპარტაკიადისთვის გაცხოველებით მზადების პერიოდში, გაკვირვებას იწვევს ღონისძიებებისადმი სპორტული სკოლების დირექტორების დამოკიდებულება. მხოლოდ მათი გულგრილობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მძლეოსანთა სტარტებს არცერთი მათგანი არ დასწრებია — არ დაინტერესებულან, როგორ ასპარეზობდნენ მათი გუნდების წევრები, რა რეზერვი გააჩნიათ. გამონაკლისი გახლდათ მხოლოდ ორჯონიკიძის რაიონის სპორტსკოლა (დირექტორი გ. გუგუშვილი). ამ რაიონში შეჯიბრებისთვის სხვებზე უკეთ რომ მოემზადნენ, ტურნირმაც დაადასტურა — ორჯონიკიძელებმა 10733 ქულა მოაგროვეს და ყველა მეტოქე საგრძნობლად ჩამოიტოვეს. II ადგილზეა ლენინის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები — 6905, III — 1 მაისის რაიონის გუნდი — 5711.

კიროვის სახელობის რაიონის მძლეოსნები ბოლო, VII ადგილზე აღმოჩნდნენ — 1930 ქულა. ეტყობა, აქაურ სკოლებში „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ზრუნავენ.

საქარხნო რაიონი ბოლო წლებში საგრძნობლად დაწინაურდა მძლეოსნობაში, იგი საპრიზო ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ გუნდს ხეირიანი მზრუნველი არ ჰყავდა — მისი წარმომადგენელი შეჯიბრებას საერთოდ არ დასწრებია და... კოლექტივიც IV ადგილს ვერ აცდა.

სულ ტურნირში 250-მდე მოზარდი ცდიდა ძალას, ზოგი — ორ სახეობაშიც. როგორც თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპორტსკოლის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. ტულუშმა გვითხრა, შედეგები დამაკმაყოფილებელი გამოდგა: პრიზიორთა უმეტესობამ II თანრიგის ნორმატივს გადაამეტა. 23-ე სკოლის მეცხრეკლასელმა გ. ჩადუნელმა (ოქტომბრის რაიონი) კი სიგრძეზე ხტომაში პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა და გაიმარჯვა — 695 სმ.

უნდა გამოვყოთ მეშვიდეკლასელი მოსწავლე მ. აზარაშვილი. ამ გოგონამ ამას წინათ ორჯონიკიძეში 60 მეტრზე თარჯრბენში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. აქ კი სიგრძეზე ხტომა მოიგო — 545 სმ.

სპეციალისტები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ 43-ე სკოლის მეექვსეკლასელ ი. კოსორუკოვასა (სპრინტი) და 101-ე სკოლის მეშვიდეკლასელ მ. ტულუშს, რომელმაც გოგონათა შორის ბადროს ტყორცნა (37,94 მ) და ბირთვის კვრა (11,03 მ) მოიგო.

იყო შემთხვევები, როცა სტარტზე მხოლოდ 2-3 მონაწილე გამოდიოდა: გოგონების შუბის ტყორცნაში, სიმაღლეზე ხტომაში, 100 მეტრზე თარჯრბენში, ბიჭების 3000 მეტრზე რბენაში, 110 მეტრზე თარჯრბენში, ბადროსა და შუბის ტყორცნაში... აი, სწორედ ამ სახეობებს უნდა მიექცეს ახლა მეტი ყურადღება.

ყველაზე ხალხმრავალი გამოდგა ბიჭების შეჯიბრება 100 და 400 მეტრზე რბენაში. თვითეულის სტარტზე თითქმის სამი ათეული მონაწილე შეგროვდა.

გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებს **გოგონები. რბენა. 100 მ.** ი. კოსორუკოვა (კალინინის რაიონი) — 12,9; **200** და **400 მ.** შ. ონიაშვილი — 27,4 და 1.01,9; **800 მ.** ნ. როსლავცევა — 2.34,0; **1500 მ.** ს. მინასიანი (ყველა — საქარხნო რაიონი) — 5.29,0; **ესტაფეტა 4×100 მ.** ლენინის რაიონი — 52,3; **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ქურდაძე (1 მაისის რაიონი) — 150; **შუბის ტყორცნა.** გ. კასოევა (ორჯონიკიძის რაიონი) — 38,56.

**ჭაბუკები. რბენა. 100** და **200 მ.** ვ. ლისიკოვი (ორჯონიკიძის რაიონი) — 11,4 და 23,9; **400** და **800 მ.** ა. დიჩი (ლენინის რაიონი, პირადი) — 53,7 და 2.06,2; **1500 მ.** ა. სოლოვიოვი (1 მაისის რაიონი) — 4.15,6; **3000** და **5000 მ.** ო. მილერი (26 კომისრის რაიონი, პირადი) — 10.18,4 და 17.57,7; **თარჯრბენი. 110 მ.** ს. მინჟულინი (ლენინის რაიონი) — 16,4; **400 მ.** ს. ძიძიკაშვილი (26 კომისრის რაიონი, პირადი) — 1.01,4; **2000 მ წინაღობებით.** ვ. ოლეხნო (საქარხნო რაიონი, პირადი) — 6.39,1. **ესტაფეტა 4×100 მ.** ორჯონიკიძის რაიონი — 45,7; **სიმაღლეზე ხტომა.** დ. სტეპანიანი (1 მაისის რაიონი) — 180; **სამხტომი.** ს. ახვლედიანი (ლენინის რაიონი) — 13,55; **ჭოკით ხტომა.** ა. ლევჩენკო (საქარხნო რაიონი) — 380; **შუბის ტყორცნა.** კ. ყესაშვილი (ინტერნატი, პირადი) — 47,40; **ბადროს ტყორცნა.** კ. ფხოველიშვილი (კალინინის რაიონი) — 39,70; **უროს ტყორცნა.** რ. მკრტჩიანი (კიროვის რაიონი) 57,64; **ბირთვის კვრა.** კ. ფხოველიშვილი — 14,12.

**ჯ. ქვარცხავა.**

* * *

**სურათებზე: 5000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები დისტანციაზე; გოგონების ესტაფეტის ერთ-ერთ ეტაპზე.**

**ო. გელაშვილის ფოტოები.**

## გაიხსნა კომპლექსური ბაზა

### „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ინიციატივით...

●

**გასულ** შაბათს ხალხმრავლობა იყო დგებუაძის ქუჩაზე მდებარე რკინიგზელთა სახლის ეზოში; აქ საზეიმოდ გაიხსნა მშვენიერი კომპლექსური სპორტული ბაზა, რომელიც „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ინიციატივით მოაწყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტმა (მმართველი ლ. მეგრელიშვილი).

...და აი, ახლად გახსნილ სარბიელზე ნორჩმა ფეხბურთელებმა გაიჩაღეს პაექრობა, შემდეგ ზემოხსენებული ტრესტისა და ამიერკავკასიის რკინიგზის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მშრომელებმა გამოსცადეს მკლავისა და მუხლის ძალა.

გაიხარა რკინიგზელთა სახლის (№ 11 სახლმმართველობა) მაცხოვრებელმა 330-მა ოჯახმა, გაიხარა დიდ-პატარამ — ყველამ, ვისაც ფიზკულტურა და სპორტი უყვარს, ვინც საკუთარი სხეულის გაკაჟებასა და გალაღებაზე ფიქრობს. ახლა მათ განკარგულებაშია მინი-ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის კომბინირებული მოედანი.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ პერიოდში „ლოკომოტივის" საგზაო საბჭო (თავმჯდომარე თ. ქობულაძე) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რკინიგზელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაშლას. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაჭრისთვის სახლმმართველობების მესვეურებმაც უნდა იზრუნონ. № 11 სახლმმართველობასთან ახლადმოწყობილ სპორტულ ბაზაზე უკვე შეიძლება შეიქმნას ბავშვთა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი, ჩამოყალიბდეს ჯანმრთელობის ჯგუფები. კარგი იქნება, თუ ფიზკულტურისა და სპორტის პედაგოგ-ორგანიზატორის შტატიც გამოიყოფა.

**ქ. ბაქრაძე.**

**სურათებზე: ბაზის საზეიმო გახსნის მომენტი; ახლად გახსნილ მოედანზე თამაშობენ ნორჩი ფეხბურთელები.**





## თხილამურები

# თბილისელთა პირველობა ბაკურიანში

**თბილისის** კალინინის კომკავშირის რაიკომისა და სპორტკომიტეტის ინიციატივით ბაკურიანში ყოველწლიურად ეწყობა რაიონის წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურელთა შეჯიბრება სათხილამურო სპორტში.

წლევანდელი ტურნირი ხუთ დღეს გაგრძელდა. გუნდურ ჩათვლაში ყველას ქალაქის სატელეფონო ქსელის სპორტსმენებმა აჯობეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ცენტრალური ტელეგრაფისა და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივები.

პირად პირველობაზე ვაჟთა შორის 5 კილომეტრზე რბოლა მოიგო დ. სტურუამ (ქალაქის სატელეფონო ქსელი). ქალთა შორის 3 კილომეტრზე ასპარეზობაში საპრიზო ადგილი ცენტრალური ტელეგრაფის გუნდის წევრებს რ. კობახიძეს, ი. კონდრატიევასა და მ. ჩეჩელაშვილს დარჩათ. ამ ორგანიზაციის მოთხილამურეებმა ესტაფეტებშიც იმარჯვეს.

სწრაფდაშვებაში ყველას აჯობა ქალაქის სატელეფონო ქსელის თანამშრომელმა რ. ჯეირანაშვილმა.

**ჯ. სამუშია,**
**კალინინის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

## კალათბურთი

აფხაზეთის განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინიციატივით სოხუმში ჩატარდა მეორე ტრადიციული საკავშირო ტურნირი კალათბურთში ჭაბუკთა გუნდებს შორის, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს. შეჯიბრება მიმდინარეობდა ექვსი დღის განმავლობაში.

პირველ სამ დღეს ჩატარდა წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში (ოთხი). პირველ-მეორე ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს საქართველომ, სომხეთმა, დნეპროპეტროვსკმა და სოხუმმა (გოგონები).

ჭაბუკთა გუნდებს შორის: ვოლგოგრადმა, დნეპროპეტროვსკმა, საქართველომ და სოხუმმა.

გოგონათა შორის პირველ ადგილზე გავიდა დნეპროპეტროვსკის კოლექტივი, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად განვლო, მეორე ადგილი დაისაკუთრა სოხუმმა, მესამე — ვოლგოგრადმა.

ჭაბუკთა შორისაც პირველობა წილად ხვდა დნეპროპეტროვსკის კალათბურთელებს. მეორეზე გავიდა სოხუმი, მესამეზე — ვოლგოგრადი.

**ჯ. შელია.**

## ძიდაობა

მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში ჩატარდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა ძიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის, სადაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა. ქალაქებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის გუნდი. „დინამოს" ჩემპიონები გახდნენ ნ. ბლიაძე (75 კგ), გ. ნიორაძე (87 კგ) და ე. ადუაშვილი (მძიმე). მეორე ადგილზეა ზ. გობოზოვი, მესამეზე — ლ. ბახტაძე და მ. კაჭარავა.

დაკომპლექტდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელშიც ექვსივე პრიზიორია შეყვანილი. ეს გუნდი მონაწილეობას მიიღებს საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც ქალაქ კიშინიოვში, აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყება.

**ჭ. ნინიაშვილი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

# ოვალური ბურთით ჭიათურაში

ქართული რაგბი

ჭიათურა, 27 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). „შავი ოქროს“ ქალაქსაც ეწვია დიდი რეგბი — შაბათს აქ ლენინის სახელობის მადაროთა სამმართველოს ახალ სტადიონზე სტარტი აიღო რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველმა წრემ.

მიმდინარე პირველობა ადრინდელი ტურნირებისგან იმით განსხვავდება, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით შეჯიბრებაში არ გამოდიან საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე თბილისის კოლექტივები — „ელვა“ და „ლოკომოტივი“. ამან საშუალება მისცა რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა გუნდს საქართველოს ჩემპიონატში გამოცადონ ძალები.

ამრიგად, პირველობისთვის იბრძვიან თბილისის „სპარტაკი“, საქართველოს პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების გუნდები, ქუთაისის „სახლმშენი“, ჩოხატაურის „ლელო“ და ჭიათურის სამთამადნო კომბინატის კოლექტივი. ჭიათურელები და ჩოხატაურელები ამგვარ შეჯიბრებაში პირველად გამოდიან, თუმცა ჩოხატაურელებს ერთგვარი გამოცდილება მაინც აქვთ — შარშან ამ რაიონში მოზარდთა საკავშირო პირველობა გაიმართა, რომელშიც „ლელომაც“ იასპარეზა.

ძალები აშკარად უთანაბროა. პირველ დღეს თბილისის „სპარტაკმა“ დიდი ანგარიშით მოუგო „ლელოს“ — 48:0, მომავალმა ინჟინრებმა სძლიეს მომავალ ექიმებს — 32:0, ხოლო ქუთაისელებმა დაამარცხეს ჭიათურელები — 53:0.

მეორე ტურში უფრო საინტერესო ბრძოლები გაჩაღდა. მაგალითად, „სახლმშენისა“ და „სპარტაკის“ მატჩში მეტოქეებმა მოწინაალმდეგის „ქალაქი“ თითოჯერ აიღეს და თითო საჯარიმოც გამოიყენეს. საბოლოოდ — 7:7.

სამთამადნო კომბინატის გუნდისა და სამედიცინო ინსტიტუტის რეგბისტების შეხვედრაში თბილისელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 56:9.

„ლელოსა“ და სპი-ს მატჩი პოლიტექნიკოსებმა მოიგეს — 24:0.

გ. ბარჯაძე.

# ვისწავლოთ ცურვა!

თუმცა ზაფხული ჯერ არ დამდგარა, მაგრამ მოსახლეობისთვის, მით უმეტეს ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, ცურვის სწავლების საკითხი არ შეიძლება სეზონური იყოს.

ადამიანის ჯანმრთელობა და მისი სიცოცხლის გახანგრძლივება ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რაც კიდევ ერთხელ აისახა ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში.

თითოეულ ჩვენგანს აქვს დასვენების ყველა პირობა, რასაც უზრუნველყოფს დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, სპორტული და სხვა გამაჯანსაღებელი ორგანიზაციების ფართო ქსელი.

მაგრამ დასვენება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ადამიანი დაზღვეული იყოს უბედური შემთხვევისგან, რომელიც ყველაზე ხშირად წყალზე ხდება. ამის უმთავრესი მიზეზი ცურვის უცოდინარობაა. თითქმის ყოველმა მეორე დამსვენებელმა არ იცის ცურვა. მას კი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში.

ცურვა სასიკეთოდ მოქმედებს სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებზე, ამაღლებს ორგანიზმის წინაღმდეგობის უნარს გრიპოზული მოვლენებისადმი, ამაგრებს ნერვულ სისტემას. ძველი ბერძნებისთვის ცურვის უცოდინარობა დამამცირებლად ითვლებოდა. ბერძნები ცურვის უცოდინარებზე იტყოდნენ, მას არც ცურვა უსწავლია და არც კითხვაო.

ხშირად გვსმენია, აუზი არა გვაქვს და რა ვქნათო?! თავისთავად, აუზების უქონლობა თვალსაჩინო ნაკლია, მაგრამ განა ნაკლებ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აფხაზეთში 79570 მოსწავლიდან 43812 ბავშვმა ცურვა არ იცის, ხოლო აჭარაში 70280-დან 49587 მოსწავლემ. ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ცურვა სტუდენტების მხოლოდ 39,7 პროცენტმა იცის, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 49,3, ხოლო საშუალო სკოლებში — 28,6 პროცენტმა.

წყალზე უბედურ შემთხვევათა უმეტესობა ახალგაზრდობაზე მოდის. მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში ცუდად ინერგება რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებს განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს საშუალო სკოლებში ცურვის შესწავლა 26-საათიანი პროგრამით.

ცურვის სწავლებისთვის ჯერ კიდევ არა გვაქვს სათანადო პირობები უმაღლეს სასწავლებლებში, პიონერთა ბანაკებში, დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებსა და სხვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა თბილისის რაისაბჭოებს — 1977-78 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე საცურაო აუზების აგება. ლენინის და ორჯონიკიძის რაიონებში შარშან მწყობრში ჩადგა ორი მცირე ზომის საცურაო აუზი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ამ რაიონების ბავშვებისთვის ცურვის სწავლების საქმეში.

აუზები შენდება, მაგრამ ცურვის მასობრივად შესწავლისთვის საჭიროა უფრო აქტიურად გამოვიყენოთ ბუნებრივი პირობები. საქართველოში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ადგილები, რომელთა საცურაოდ გამოსაყენებლად სულაც არაა საჭირო ძვირადღირებული ნაგებობების მშენებლობა. საჭიროა მონდომება, ენთუზიაზმი... ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ კომკავშირულმა, პროფკავშირულმა, პიონერულმა ორგანიზაციებმა. მთავარი სიტყვა კი ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა თქვან.

1978 წელი ცურვის მასობრივად შესწავლის წელი უნდა გახდეს!

ქ. ხოშტარია,
საქართველოს სსრ წყალმაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

# სეზონი სამხრეთში იწყება

●

## „ფახთაქორის“ პრობლემები

შარშანდელი მძიმე სეზონი ტაშკენტის „ფახთაქორმა“ ბოლოსდაბოლოს წარმატებით დააგვირგვინა — უმაღლეს ლიგაში დაბრუნების უფლება მოიპოვა. კოლექტივში ჩინებულად იმუშავა რუსეთის ფედერაციის დამსახურებულმა მწვრთნელმა კოჩეტკოვმა, რომელსაც ეხმარებოდნენ უზბეკეთის დამსახურებული მწვრთნელი შეგაი (უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობითს დარგში), არონოვიჩი და სპორტის ოსტატი ტაჟეტდინოვი.

წლეულს მწვრთნელთა „შტაბს“ რაიმე ცვლილება არ განუცდია. არსებითი ცვლილებები არც გუნდის ძირითად შემადგენლობაში მომხდარა.

„ფახთაქორმა“ სეზონისთვის მზადება თავის ზამთრის ბაზაზე დაიწყო. იანვრის მეორე ნახევარში გუნდი ლენინგრადს ეწვია, სადაც მონაწილეობდა ზამთრის ტრადიციულ ტურნირში „ნედელიას“ პრიზზე. შემდეგ კი ბულგარეთს გაემგზავრა თავისი საუკეთესო თავდამსხმელის ფიოდოროვის გარეშე (თებერვალში იგი სსრ კავშირის ნაკრებში გამოიძახეს, რომელთანაც ერთად უცხოეთში გამართულ ტურნირში მონაწილეობდა).

ცხადია, „ფახთაქორის“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 1978 წლის სეზონი გუნდისთვის ძნელი იქნება. გუნდმა არა მარტო უნდა იბრძოლოს უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, არამედ კარგი თამაშიც აჩვენოს გულშემატკივრებს, ამავე დროს, როგორც უფროს მწვრთნელს ა. კოჩეტკოვს მიაჩნია, მზადების პროცესში გუნდის წინაშე საკმაო პრობლემები წარმოიქმნა.

ბოლო წლებში „ფახთაქორის“ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მეკარის საკითხი იყო. შარშანდელი სეზონი გუნდმა 4 მეკარით დაიწყო, უპირატესობა თანდათან პოკატილოვსა და ჩეჩეტინს მიენიჭათ, თუმცა ისინიც საკმაოდ არათანაბრად თამაშობდნენ.

ბევრი რამ იყო გადასაწყვეტი დაცვაშიც. აქ ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ერთად გამოდიოდნენ გამოცდილი მოთამაშეები მოგილნი და სეროსტანოვი. ამასთან გუნდის ხელმძღვანელობისთვის ისიც ცხადი იყო, რომ 30 წლის მოგილნიზე და 29 წლის სეროსტანოვზე დიდი ხნით არ შეიძლებოდა იმედის დამყარება. ცხადია, იგივე ითქმის 31 წლის ზაგუმენიხზე, ადრე ლენინგრადის „ზენიტის“ მცველზე, რომელსაც „ფახთაქორის“ მწვრთნელები შუა მინდორშიც ათამაშებდნენ.

შუა ხაზში წამყვანი ფიგურაა 26 წლის ანი, რომელსაც არაერთგზის უთამაშია საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში. ანი, „ფახთაქორის“ კაპიტანი, შეუპოვარი, ენერგიული თამაშით გამოირჩევა.

თავდამსხმელებს შარშან ბევრი გოლი გაჰქონდათ, მაგრამ წლეულს მათ სხვა მეტოქეები ეყოლებათ. ფიოდოროვის გარდა სეზონისთვის ემზადება ჩურკინი, რომელიც გუნდს ძალიან გამოადგა შარშან. ადრე, როგორც ცნობილია, ჩურკინი როსტოვის არმიელთა კოლექტივის წამყვანი თავდამსხმელი იყო. საკონტროლო მატჩებში მონაწილეობდნენ ისაკოვი, ერემეევი და სხვები.

ერთი სიტყვით, განახლებულ „ფახთაქორს“ წლეულს სხვა პირობებში უხდება თამაში, მას ძნელი ამოცანების გადაწყვეტა ელის.

## სსრ კავშირის თასზე

გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის კიდევ რამდენიმე საპასუხო მეთექვსმეტედფინალური მატჩი.

მოსკოვის სპარტაკელებმა, რომლებსაც პირველი მატჩიც მოგებული ჰქონდათ (1:0), კვლავ დაამარცხეს კიშინიოვის „ნისტრუ“ — 2:0.

ოდესის არმიელებმა თასიდან გამოთიშეს უმაღლესი ლიგის გუნდი — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 2:1 (პირველი მატჩი 1:1).

როსტოვის არმიელებს და ოდესის „ჩერნომორეცს“ დასჭირდათ დამატებითი პენალტების შესრულება, ვინაიდან როსტოველებმა ზუსტად იმავე ანგარიშით აიღეს რევანში, რომლითაც დამარცხდნენ პირველ მატჩში — 2:0. პენალტებმა წარმატება მოუტანა ოდესელებს — 4:3.

ივანო-ფრანკოვსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ცსკა (პირველი მატჩი — 1:1). გაიმარჯვა ცსკა-მ — 2:0.

## ფეხბურთი

# რატომ გვეკარგება ტალანტები?

●

### 18-19 წლის ფეხბურთელთა სპორტული მომავალი

ქართული ფეხბურთი არასდროს ყოფილა ტალანტებს მოკლებული. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე ჩვენი ჭაბუკები არავის უთმობდნენ ხოლმე საკავშირო პირველობას (დაწყებული „ტყავის ბურთიდან“ დამთავრებული იმედის თასის ჩათვლით). თუ ავიღებთ 1977 წლის საკავშირო გათამაშებას ოლიმპიურ სპეციალიზებულ სპორტსკოლებს შორის, აქ პირველი და მეოთხე ადგილები საქართველოს სპორტსკოლებს ჰქონდათ.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ საკითხავია, სად იკარგებიან გუშინდელი ჩემპიონები, რატომ ვერ ვხედავთ მათ წამყვან ოსტატთა გუნდებში? აი, საკითხი, რომელიც დიდი ხანია გვაღელვებს. ეს პრობლემა არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგნად. ბევრმა სპეციალისტმა და ცნობილმა ფეხბურთელმა გამოთქვა თავისი აზრი, ზოგიერთი მათგანი ძირითადად თბილისის ყოფილი 35-ე საშუალო სკოლის გახსნა-აღდგენაში ხედავდა პერსპექტივას.

35-ე საფეხბურთო სკოლის არსებობა, რა თქმა უნდა, აუცილებელი და სასარგებლო იყო, იგი ახლაც იტყოდა თავის სიტყვას, მაგრამ, ვფიქრობ, დღეისთვის სხვა რანგის სკოლის არსებობა უფროა საჭირო, სკოლისა, რომელიც თავს მოაბამდა საქართველოში არსებული 20 საფეხბურთო სპორტული სკოლის მუშაობას, ბოლომდე მიიყვანდა ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდას, სრულყოფას.

მაშინ, როცა არსებობდა თბილისის ვაჟთა 35-ე საფეხბურთო სკოლა, მისი კურსდამთავრებული ნიჭიერი ფეხბურთელები წვრთნას განაგრძობდნენ ორწლიან ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში, რომელიც დაარსებული იყო საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით (40-50 სპორტსმენზე). სკოლას გამოყოფილი ჰქონდა საწვრთნელი ბაზა (დღევანდელი „ლოკომოტივის“ სტადიონი), სადაც ტარდებოდა 45-დღიანი სასწავლო-საწვრთნელი საბანაკო შეკრებები და სხვა.

ამ სკოლაში მუშაობდნენ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები: ანდრო ჟორდანია, არჩილ კიკნაძე, ვიქტორ პანიუკოვი, გიორგი ანთაძე და სხვები. მათი და ოსტატთა გუნდების მწვრთნელთა შერჩევით ამ სკოლაში ირიცხებოდნენ 18-19 წლის ასაკის ნიჭიერი ფეხბურთელები, ისეთებიც კი, რომლებმაც დაამთავრეს ცნობილი 35-ე საშუალო სკოლა — მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე და სხვები. ახლა ასეთი სკოლა არ არსებობს, არადა იგი აუცილებელია და აი რატომ:

თუ ჩვენ ფეხბურთის სწავლებას პირობითად დავყოფთ საფეხურებად, პირველი — ეს იქნება ბავშვთა საფეხბურთო სკოლის კურსის დამთავრება, მეორე — ორწლიანი ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის კურსის დამთავრება (რომელიც დღეს არ არსებობს) და მესამე — ამ ფეხბურთელთა განაწილება ოსტატთა გუნდებში. აშკარაა, რომ დღეს სწავლების ეს საფეხურები დარღვეულია. 17-18 წლის ჭაბუკი, რომელიც ამთავრებს ბავშვთა ფეხბურთის სკოლის კურსს, ან საერთოდ იკარგება ფეხბურთისთვის, ან უკეთეს შემთხვევაში, ნაადრევად მოუმზადებელი მიდის ოსტატთა გუნდში, იქ კი მწვრთნელებს აღარა აქვთ იმის დრო და საშუალება, რომ მათთან გააგრძელონ დამატებითი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. სპორტსკოლის კურსდამთავრებული, ბუნებრივია, ვერ დააკმაყოფილებს იმ დიდ მოთხოვნებს, რომლებსაც წარუდგენენ ოსტატთა მწვრთნელები. ამავე დროს არც სკოლას გააჩნია იმის საშუალება, რომ 18-19 წლის ასაკის ახალგაზრდა ფეხბურთელთან გააგრძელოს დამატებითი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. რა დასამალია და ამ მიზეზით ჩვენს რესპუბლიკაში არსებული 20 საფეხბურთო სკოლის მუშაობის შედეგები თითქმის განახევრებულია, ბავშვთა სკოლებში ასობით მომუშავე მწვრთნელის შრომა კი, შეიძლება ითქვას, წყალშია გადაყრილი. ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული ფეხბურთის სიკეთისთვის, ვფიქრობთ, უთუოდ სასარგებლო იქნებოდა დაარსებულიყო ორწლიანი ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა ან უმაღლესი დაოსტატების სკოლა ფეხბურთში (თუნდაც, ქალაქ თბილისის რომელიმე სპორტსკოლის ხარჯზე), სადაც თავს მოიყრიან სხვადასხვა სპეციალიზებული ფეხბურთის სპორტსკოლებიდან შერჩეული 18-19 წლის ასაკის იმედის მომცემი ახალგაზრდები. სწორედ ეს იქნება სწავლებისა და დაოსტატების ის მეორე საფეხური, ის აუცილებელი გზა მოზარდი ფეხბურთელის აღზრდისთვის, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი.

გარდა ამისა, გადაწყდება მეორე პრობლემაც — მუდმივად თვალწინ გვეყოლება ფაქტიურად რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები გუნდი. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ეს ყველაფერი არ მივიღოთ დოგმად და უკეთესი საშუალებაც გამოვნახოთ, მაგრამ ერთი კი არის: რაც მალე ჩამოყალიბდება სწავლების მეორე საფეხური, მით უფრო დროულად შეემატება ქართულ ფეხბურთს ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი. რესპუბლიკაში საკმაოდ არიან გამოცდილი სპეციალისტები და ენთუზიასტები, რომელთა დახმარებით ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება ეს საშვილიშვილო საქმე.

შ. მერკვილაძე,
თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის დირექტორი.

რედაქციისგან: კარგი იქნება, თუ შ. მერკვილაძის ამ წერილს აქტიურად გამოეხმაურებიან ფეხბურთის სპეციალისტები, ისინი, ვისაც პირველ ყოვლისა ევალება ქართული ფეხბურთის მომავალზე ზრუნვა. გაზეთი „ლელო“ სიამოვნებით გამოაქვეყნებს ყველა მოსაზრებას, რის შედეგადაც, ეჭვი არ არის, გამოიკვეთება ის მთავარი, სპორტული საზოგადოებრიობისთვის მისაღები გზა, წარმატებით რომ უმკურნალებს ფეხბურთელთა აღზრდის სისტემაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

# შაშხანითა და ხელყუმბარით...

ჩატარდა თბილისის პირადგუნდური პირველობა სამხედრო-გამოყენებით მრავალჭიდში. ასპარეზობაში ექვსი რაიონის დოსააფის კომიტეტების, აგრეთვე, თბილისის საქალაქო კომიტეტის სპორტტექნიკურ კლუბ „ოქტომბრის“ კოლექტივები მონაწილეობდნენ.

ტურნირმა, რომელიც საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ბაზაზე რუსთავში ჩატარდა, მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ვაჟებს 2500 მეტრი უნდა გაერბინათ, ქალებს — 1500. სტარტიდან ფინიშამდე სპორტსმენები პნევმატური შაშხანით სამ სამიზნეზე სროლასა და ხელყუმბარის ტყორცნაში ასპარეზობდნენ.

გოგონათა შორის ყველას აჯობა ტ. კორობკინამ, რომლის შედეგია 6.26,0. ჭაბუკებში ყველაზე მოხერხებული გამოდგა ტ. ჯინჭველაძე — 6.59,0, იუნიორებში იმარჯვა ვ. გლაზოვმა — 7.11,0, ხოლო ვაჟებში ვ. დევდარიანმა — 6.40,0.

აღსანიშნავია, რომ ყველა ჩემპიონი სპორტტექნიკურ კლუბ „ოქტომბრის“ წარმომადგენელია, ცხადია, გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებაც „ოქტომბერს“ დარჩა, რომელმაც 27,2 საჯარიმო ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ 26 კომისრის რაიონის დოსააფისა (33,2 ქულა) და ორჯონიკიძის რაიონის დოსააფის კომიტეტების (33,4) გუნდები.



სურათზე: სროლაში შეჯიბრების მომენტი.

სპორტის ოსტატ ი. გალდავას ტექსტი და ფოტო.

# შთაბეჭდილებანი კავკასიონიდან

## ახალი წიგნები

**გამომცემლობა** „საბჭოთა საქართველომ" მკითხველს მიაწოდა საინტერესო წიგნი „ცენტრალური კავკასიონის მყინვარებზე". მისი ავტორია გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მეკლდეურობის კომიტეტის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი რ. ხაზარაძე.

წიგნი მკითხველს აცნობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობების (ზემო სვანეთი) თანამედროვე მყინვარების, მათი წარმოქმნის ისტორიას და, საერთოდ, მყინვარულ ეპოქას. წიგნის მიზანია, აგრეთვე, მკითხველს განუმარტოს, თუ რა ადგილი უკავია ამ მყინვარებს საქართველოს ბუნებაში.

ავტორი წერს:

„წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია ის შთაბეჭდილებანი და აღწერილობითი ხასიათის მოგონებები, რომლებიც დამიგროვდა კავკასიონის მყინვარებზე მუშაობის დროს. ამ მყინვართა კომპლექსურ შესწავლას აწარმოებდა და დღესაც აწარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გლაციოლოგიური ჯგუფი". ავტორი მოგვითხრობს, აგრეთვე, პამირისა თუ ტიან-შანის მწვერვალებსა და მყინვარებზე ასვლების დროს მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

წიგნი საინტერესოა როგორც ფიზკულტურის ინსტიტუტის მთამსვლელობის სპეციალისტების, ისე უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, გამოცდილი ალპინისტებისთვის თუ მკითხველთა ფართო წრისთვის.

რ. ხაზარაძის წიგნს ინტერესით წაიკითხავენ სათავგადასავლო ბიბლიოთეკის მოყვარულებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ის ეპიზოდი, სადაც მოთხრობილია როგორ დაეხმარნენ ქართველი მთამსვლელები ტიან-შანზე, გამარჯვების პიკზე გასაჭირში ჩავარდნილ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრების ალპინისტებს. აქვე მოთხრობილია გამარჯვების პიკზე ცნობილი ქართველი მთამსვლელების თეიმურაზ კუხიანიძისა და ჯუმბერ მეძმარიაშვილის დაღუპვის ამბავი და კავკასიონის მწვერვალ შხარას ტრაგედია, სადაც გურამ თიკანაძე დაიღუპა.

ლამაზად გაფორმებული წიგნი, რომლის რედაქტორია მ. ერისთავი, მხატვარი — გ. ავსაჯანიშვილი, მხატვრული რედაქტორი — რ. მახარაძე, ილუსტრირებულია ფერადი და შავ-თეთრი ფოტოებით.

სამწუხაროდ, წიგნის ტირაჟი (1000) ერთობ მცირეა.

**ა. გურგენიძე.**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ოლიმპიელთა კლუბი"

**პრაღა.** კლუბს, რომელიც აერთიანებს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ყველაზე გამოჩენილ სპორტსმენებს, „ოლიმპიელთა კლუბი" ეწოდა. მის წევრად გახდომა შეუძლია ყველას, ვისაც კი სახალხო ხელისუფლების მანძილზე ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში უასპარეზია. ახლა კლუბში 221 კაცია.

## უჩვენებს „ტერები ასახი"

**ტოკიო.** თუმცა მოსკოვის ოლიმპიადის გახსნამდე ორ წელზე მეტია დარჩენილი, იაპონიის სატელევიზიო კომპანია „ტერები ასახიმ", რომელმაც ამ უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრების პირდაპირი გადაცემის უფლება მიიღო, უკვე გააცნო მაყურებლებს თავისი გეგმები.

„ტერები ასახიმ" განაცხადა, რომ ოლიმპიური თამაშების ახალი ამბები გადაიცემა ყოველდღიურად 16 საათისა და 15 წუთის განმავლობაში. ოლიმპიადის დროს მოსკოვიდან პირდაპირი გადაცემის ხანგრძლივობა „ტერები ასახის" გაანგარიშებით 229 საათი და 15 წუთი იქნება. ამ ტელეკომპანიის ყველა სხვა რეგულარული პროგრამა, 1980 წლის 19 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით, გადაიდება, რათა იაპონელ ტელემაყურებლებს სრული წარმოდგენა შეექმნათ ოლიმპიადაზე (საკდესი).

# „პიკის საათი" ჰიმალაიში

**კატმანდუ.** 1978 წლის საგაზაფხულო სეზონი ნეპალის ჰიმალაებში ბევრ საინტერესოს ჰპირდება ალპინისტებს. 11 ქვეყნის 200 მთამსვლელი ჰიმალაის პიკების ძნელ ფერდობებზე სცდის ბედს.

მწვერვალთა სიაში, რომელსაც ამ გაზაფხულზე დალაშქრავენ — 8 რვაათასიანია, ამასთან ავსტრიელი ალპინისტები მსოფლიოში ყველაზე მაღალ ჯომოლუნგმაზე (8848 მ) და „ყველაზე დაბალ" — ანაპურნაზე (8091) ავლენ.

განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს კანჩენჯანგ-1-ის (მესამე მწვერვალი მსოფლიოში) პიკის შტურმი. პირველად იგი 1955 წლის 25 მაისს დაიპყრეს ინგლისელმა სპორტსმენებმა. მას შემდეგ ნეპალის ფერდობიდან არავის უცდია ამ პიკზე ასვლა. და აი, 23 წლის შემდეგ, წელს გაზაფხულზე 8585-მეტრიან კანჩენჯანგ-1-ს დალაშქრავს პოლონეთის ექსპედიცია პეტრო მლოტეცკის მეთაურობით. პოლონელთა მეორე ალპინისტურ ჯგუფს მსოფლიოს მეოთხე მწვერვალის ლხოცზეს (8501) დაპყრობა აქვს გადაწყვეტილი (საკდესი).

რედაქტორი ა. გასილაია.

**ბერლინი.** „თანამედროვე სპორტი გადამწყვეტი ცდის, ნახტომის, სტარტის წინ წარმოუდგენელია ათლეტის ძალთა მაქსიმალური კონცენტრაციის გარეშე", წერს ჟურნალი „დდრ-შპორტი".

ამიტომ ძნელია დამარცხების შემდეგ თავი გაიმართლო: საჭირო გულისყური ვერ მოვიკრიბეო. სტარტის წინ ძალების მოკრების ხელოვნება სპორტსმენის ოსტატობის აუცილებელი კომპონენტია.

რა თქმა უნდა, სპორტის თითოეული სახეობის სპეციფიკა აიძულებს სპორტსმენს სხვადასხვანაირად განეწყოს. საგზატკეცილო ველორბოლაში, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდება, სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორი მოქმედებს, სპრინტში კი, სადაც ყველაფერს წამები წყვეტს, სხვა. მათ, ვინც წამის გაელვებაში უნდა „აფეთქდეს" (სიმაღლეზე მხტომელები, ბირთვის

# სტარტის წინ

[illegible]

მკვრელები, თხილამურით ტრამპლინიდან მხტომელები, ტანმოვარჯიშეები, ძალოსნები), თავისი პრობლემები აქვთ. როგორ მოვახერხოთ ძალთა მობილიზება?

„ეს პროცესი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე თვით სტადიონზე ყოფნა, — ამბობს მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში ანგელა ფოიგტი (გდრ). — ყველაფერი შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე იწყება. ათლეტი შეგნებულად ცდილობს არ იფიქროს მოსალოდნელ სტარტზე, მაგრამ მისი აზრები თავისდაუნებურად ტრიალებენ შეჯიბრების გარშემო. და რაც უფრო ახლოვდება სტარტი, მით უფრო იზრდება შინაგანი დაძაბულობა.

პირადად მე შეჯიბრების დაწყების წინ მიყვარს განმარტოება. მივიკუნჭები სადმე კუთხეში და ერთმანეთის მიყოლებით ვიმეორებ: რა მომელის, ვამუშავებ ტაქტიკურ გეგმას. ვაფასებ მეტოქეთა შანსებს, ერთხელ კიდევ ვათვალიერებ სტარტის ადგილს, ვვარაუდობ ვინ ვის შემდეგ ხტება. ჩვეულებრივ, ამ დროს არავინ მელაპარაკება, და თუ ვინმე მომმართავს, ვპასუხობ დამაჯერებლად, თუმცა სრულებით ვერ ვწვდები კითხვის არსს. და ყველაფერი ეს ხდება ავტომატურად".

ფოიგტის მწვრთნელი ვ. ოლფერტიც ადასტურებს მის სიტყვებს: „ასეთ წუთებში მე მას მარტო ვტოვებდი, ის იყო მისი წარმატე[illegible]

იყო. უნდა გამოვტყდე, როცა ასეთი რამ ხდებოდა, უკვე ვიცოდი, რომ რაღაც ვერ იყო წესრიგში. შეჯიბრების წინ მისი ალაპარაკება ცუდად მენიშნებოდა".

ფოიგტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პირველ ცდას. „მას შემდეგ, რაც თავიდანვე ყველაფერი კარგად გამივა, ინტერესით ვაკვირდები სხვების გამოსვლებს. ხტომებს შორის შესვენებისას მთლიანად ვდუნდები და ვცდილობ გავაანალიზო განვლილი, რადგან კონცენტრაციის გაგრძელება შეჯიბრების განმავლობაში მიხდება. ერთი, თუნდაც კარგი ნახტომით ყოველთვის ვერ გაიმარჯვებ".

აი, რას ამბობს ბირთვის კვრაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი მარიანე ადამი (გდრ): „ნამდვილად ძალიან ძნელია ერთი, ძალიან კარგი ცდის, განსაკუთრებით მსოფლიოს რეკორდის შემდეგ, კვლავ მიაღწიო მსგავსი მასშტაბის შედეგს. ფიზიკური შესაძლებლობა არის, მაგრამ კონცენტრაციის უნარი კი არა".

უნგრელმა მიკლოშ ნემეტმა ოლიმპიურ მონრეალში პირველივე ცდაზე ტყორცნა შუბი სარეკორდო ზღვარამდე (94,58 მ), რის შემდეგაც უარი თქვა მომდევნო ორ ცდაზე. მსოფლიო რეკორდის დამყარებით გამოწვეულმა სიხარულმა იმდენად აალელვა იგი, რომ სპორტსმენს დიდი დრო დასჭირდა მობილიზებისთვის.

ანგელა ფოიგტივით არიან 1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი საციგაო სპორტში მარგიტ შუმანი (გდრ), ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში როზემარი აკერმანი (გდრ), მაგრამ არიან სხვა ხასიათებიც.

ევროპის ჩემპიონი (1966 წ) ჭიდაობაში კლაუს პოლი (გდრ), რომელიც ამჟამად ლუკენვალდის „დინამოში" მწვრთნელად მუშაობს, ასე ამბობს: „ორთაბრძოლების დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე მიყვარს საუბარი, ასევე იქცევიან დანარჩენი ჩვენი მოჭიდავეებიც. კითხვებზე ნორმალურად უპასუხებენ. მართალია, ამ დასკვნით ფაზაში ძალიან არასასურველია მწვრთნელის მითითებები. ბრძოლის ტაქტიკური გეგმა ხომ დიდი ხანია შემუშავებულია. მისი ხელახალი დახვეწა-დაზუსტება უკეთესია პერიოდებს შუა დასვენების დროს".

ზოგიერთი სპორტსმენი შეჯიბრებებს შორის პაუზებში წიგნს კითხულობს. ასე იქცევა საბჭოთა ხმლით მოფარიკავე ვ. ნაზლიმოვი. „ლექსებს, პატარა მოთხრობებს, — ამბობს ვლადიმერი, — ჩემი ყურადღება გადააქვთ ორთაბრძოლებისგან, რომლებიც შეიძლება საათობით გაგრძელდეს. კითხვა მამშვიდებს, რაც ასე აუცილებელია მომდევნო ბრძოლისთვის". მაგრამ ახერხებს კი წაკითხულის შინაარსის [illegible]

# „ბეტა" თუ „ომეგა"?

**ახალმა საამქრო აპარატურამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა ბაკურიანის ტრასებზე.**

— საქვეყნოდ ცნობილი „ბეტას" აპარატურის წარმომადგენლებს ვთხოვთ დაიკავონ თავიანთი ადგილები სტარტსა და ფინიშზე — ხუმრობანარევი ხმით გაისმა კონტაგორის ტრასაზე გაყოლებული რეპროდუქტორებიდან. ხუმრობა ხუმრობათ, მაგრამ ამ მხიარულ განცხადებაში ჭეშმარიტების საკმაოდ დიდი დოზა ერია.

...ახალგაზრდა მოსკოველმა კონსტრუქტორებმა, პირველთანრიგოსანმა მოთხილამურეებმა იური შჩეგლოკოვმა და ნიკოლოზ კონონცევმა ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალზე ჩამოიტანეს ორი დაახლოებით 10-10 კილოგრამამდე წონის, საშუალო ზომის წითელი ჩემოდანი, რომლებშიც მათივე ნახელავი — ახალი სასტარტო-საფინიშო აპარატურის, კომპაქტური „ბეტა-2"-ის ორი კომპლექტი იყო მოთავსებული. „ბეტას" პირველი სერიოზული გამოცდა უნდა ჩაებარებინა ბაკურიანში სპარტაკიადისა და ჩემპიონატის ჩატარების დროს. ამასთან „გამომცდელი" ძალზე მკაცრი ჰყავდა — სახელგანთქმული შვეიცარული ფირმა „ომეგას" აპარატურა, რომელიც კოხტას ტრასებზე პარალელურად იყო ჩართული.

მაინც რას წარმოადგენს „ბეტა", რით განსხვავდება იგი „ომეგასგან". ჩვენი აპარატურა, რომელიც ერთნაირი წარმატებით მუშაობს აკუმულიატორისაგან და ელექტროქსელისაგან, ფოტოგადამცემისა და ფოტომიმღებისაგან შედგება. ერთი მათგანი სტარტზეა მოთავსებული, მეორე — ფინიშზე. „ბეტას" მარტივი, ძალზე კომპაქტური საკომუტაციო — განმანაწილებელი მოწყობილობა აქვს, რომლის მთავარ ნაწილს ელექტროწამმზომი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ახალი აპარატურა „ომეგასგან" განსხვავებით ორარხიანია, ე. ი. ერთდროულად შეუძლია აღნუსხოს შეჯიბრებაში მონაწილე ორი სპორტსმენის დრო. სხვათაშორის, „ბეტას" ძალუძს დისტანციის ნებისმიერ მონაკვეთზე ე. წ. საშუალედო დროის საკონტროლო ჩვენებაც, ფოტოფინიშს აქვს სპეციალური ბლოკირატორი, რომელიც იცავს მას შემთხვევითი გადაკვეთისაგან. და კიდევ ერთი სიახლე და უპირატესობა „ომეგასთან" შედარებით: „ბეტა" აღნუსხავს სპორტსმენის დროს წამის მეათასედი ნაწილის სიზუსტით.

ბაკურიანში ზემოთხსენებული დიდი შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენლებმა, სათხილამურო სპორტის სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ახალ საბჭოთა აპარატურას. საერთო დასკვნით იგი რეკომენდებულია სერიული გამოშვებისათვის.

— „ბეტა-2" ჩინებული აპარატურაა, იგი ერთნაირად გამოადგებათ მოთხილამურეებსაც, მძლეოსნებსაც, მოცურავეებსაც, — გვეუბნება რესპუბლიკური უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლის № 1 ზამთრის სახეობათა განყოფილების უფროსი ჟ. გავა.

— კარგი იქნება თუ საქართველოს სპორტკომიტეტი შეიძენს „ბეტა-2"-ის რამდენიმე კომპლექტს, რაც ასე აუცილებელია ბაკურიანის ტრასებისათვის, — გამოთქვა აზრი საკავშირო კატეგორიის მსაჯმა, სპორტის ოსტატმა ი. ოგანეზოვმა.

და ბოლოს დავუმატებთ, რომ „ბეტას" კონსტრუქტორებს განზრახული აქვთ უახლოეს დროში აპარატურაზე უფრო დიდი ტაბლო დაამონტაჟონ და, რაც მთავარია, გაუკეთონ მას საბეჭდი მოწყობილობა, რომელიც წამსვე აღბეჭდავს ქაღალდზე სპორტსმენების მიერ ნაჩვენებ შედეგებს.

**ო. ნოზაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.


# ყველას,

**ვინც მონაწილეობდა ოლიმპიური ფულისა და ნივთების ლატარეაში — „სპრინტი"**

„სპრინტის" „გშ" სერიის ბილეთების გაყიდვა თბილისში დამთავრდა.

მოქალაქეებს, რომლებსაც დარჩათ ბილეთები წარწერით: „სპრინტის" — ლატარიის ბილეთი „გშ" სერიით, აგრეთვე, წინა სერიის ბილეთები „ვდ" და „გშ" უნდა გამოცვალონ ა. წ. 31 მარტამდე — „სპორტლოტოს" რესპუბლიკურ სამმართველოში (თბილისი 19, ელიავას ქ. № 26 10-დან 16 საათამდე).

**დაგვიანების შემთხვევაში აღნიშნული ბილეთები აღარ გამოიცვლება.**

ფულადი მოგებების მისაღებად მიმართეთ თბილისის შემნახველ სალაროებს.

სპორტლოტო.


**მხატვრული ტანვარჯიში.** სპორტის სასახლე. მოკავშირე რესპუბლიკების მოსწავლე სპორტსმენთა შეჯიბრება. დასაწყისი: 28 მარტს — 16 საათზე, 29-30 მარტს — 18 საათზე.

„ლელოს" რედაქციას ესაჭიროება ქართულ ენაზე მბეჭდავი კვალიფიციური მემანქანე. ცნობებისთვის მიმართეთ რედაქციას (ლენინის ქ. № 14). ტელეფონი: 93-97-52.

გაზეთი გამოდის [illegible]. რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეგრაფისათვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; [illegible] — 93-97-55; [illegible] — 93-97-57; [illegible] — 93-97-53; [illegible] — 93-97-86; [illegible] — 93-97-53; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომცემლობა — 99-88-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-88; მემანქანეები — 93-97-51.